სსიპ კოლეჯი

„მ ე რ მ ი ს ი“

2022 წლის ანგარიში

თბილისი

2023 წ.

კოლეჯის განვითარება

- **თანამედროვე შრომის ბაზრის შესაბამისად ახალი პროგრამის დამატება**

კოლეჯი მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე და გლობალური პანდემიის პირობების მიუხედავად, სწავლის მსურველ პირებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნად ყოველწლიურად განახლებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა პროგრამებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რომლის დასტურია ყოველწლიურად რეგისტრირებულ აპლიკანტთა გაზრდილი რაოდენობა, კოლეჯი ,,მერმისი“ მიზანმიმართულად ცდილობს დააკმაყოფილოს როგორც სწავლის პირთა სწავლის მსურველ პირთა რაოდენობა, ასევე კოლეჯის პარტიორი კომპანიები კვალიფიციური კადრების მიწოდების გზით.

2022 წელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 მარტის N MES 0 22 0000260166 გადაწყვეტილებით, კოლეჯს ,,მერმისს“ მიენიჭა უფლება განახორციელოს კიდევ ერთი პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს, რაც შემდგომში შესაძლებლობას მისცემს პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს.

„გრაფიკული დიზაინის შესრულება“ პროგრამის ავტორიზაციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ პროგრამის შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიასთან ახალი მემორანდუმი/ ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ - **შპს „ფავორიტი სტილი“,**
- ✓ გაფორმდა წინარე შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ **34 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.**

,,მერმისი“ ზრუნავს დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები და გამომდინარე იქიდან, რომ „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ სპეციალისტის პროფესიონალ კადრებზე მოთხოვნა მზარდია როგორც შრომით ბაზარზე, ასევე მოსახლეობის მხრიდანაც, ვინაიდან მოსახლეობის მოთხოვნა ავტომობილის ყოლაზე თანდათანობით იზრდება, მერმისმა მიიღო გადაწყვეტილება დაიმატოს ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამის ავტორიზაციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ პროგრამის შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აღნიშნული პროგრამის დამატებისა და განხორციელების მიზნით, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შეძენილი იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანადგარები და მოწყობილობები. მათ შორის: მაკრატელა ამწე, თვლების კორექციის შესამოწმებელი აპარატი, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების სტარტერის და დინამოს შესამოწმებელი სტენდი. ამასთან ერთად აღნიშნული პროგრამისათვის შეძენილი იქნა ოსცილოგრაფები, მულტიმეტრები, სარჩილავი მოწყობილობები, მიკროსკოპები სარჩილავი სამუშაოებისთვის, ხელის ინსტრუმენტები, კალის მოსაშორებლები.
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიასთან ახალი მემორანდუმი/ ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ - **შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“,**
- ✓ გაფორმდა წინარე შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ **18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.**

კოლეჯი საანგარიშო პერიოდში ელოდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას.

კოლეჯი ,,მერმისი“ ასევე აქტიურად ზრუნავს ზრდასრული მოსახლეობის პრაქტიკული უნარების გამომუშავება/განახლებასა და კომპეტენციების განვითარებაზე მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შეთავაზების გზით დასაქმების ხელშეწყობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯი ზრდასრული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, სთავაზობს შრომის ბაზარზე მოთხოვნად მოკლევადიან პროგრამებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კოლეჯს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 13 აპრილის N MES 7 22 0000381664 ბრძანების საფუძველზე, ელექტრონულ სისტემაში დაურეგისტრირდა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,კონდიტერიის ხელოვნება".

ასევე პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამების: ,,ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება", ,,ელექტრული მონტაჟი", „ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება“, „კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით“, „ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი“, „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ დამტკიცება და გამოიცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებები პროფესიული მომზადების პროგრამების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე:

საანგარიშო პერიოდში, კოლეჯის მიერ დამტკიცდა პროფესიული მომზადების პროგრამები: „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტებს საწარმოებში“, „ტყავის

აქსესუარების კონსტრუირება და დამზადება“ და „ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწაღას კონსტრუირება და დამზადება“, რომლის განხორციელების მოპოვების შესახებ დაწყებულია სათანადო ღონისძიებები.

ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის განვითარების კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერის მიზნით, დამტკიცდა სსსმ/შშმ მშობლების/მეურვეების/კანონიერი წარმომადგენლების კმაყოფილების კვლევის კითხვარი ინკლუზიური გუნდის მუშაობის შეფასებასა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- ✓ განახლებულ იქნა საშტატო თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები,
- ✓ კოლეჯის ნორმატიულ დოკუმენტში - სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეტანილ იქნა ცვლილებები;
- ✓ კოლეჯის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სასწავლო სახელოსნოების, მათში განთავსებული სახელმწიფო ქონების, ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სათანადო დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით განხორციელდა საგანგაშო სიგნალიზაციით და ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ცოცხალი ძალის მეშვეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ;
- ✓ დამატებულ იქნა სასწავლო პროცესის მენეჯერისა და დამლაგებლის კიდევ ერთი საშტატო ერთეული, ასევე შტატგარეშე თანამდებობები: ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი, რომლის შეთანხება კოლეჯის მიერ ყოველწლიურად ხდებოდა სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე, შეტანილ იქნა საშტატო ნუსხაში.
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გამოკითხვები და მეცადინეობეზე დასწრება, საჭიროების შემთხვევაში გაიცა რეკომენდაციები;
- ✓ განახლებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ✓ 2022 წელს „ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში, კოლეჯმა გამარჯვების შედეგად, ა(ა)იპ „საქართველოს დეკორატიული მცენარეების და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციასთან“ პარტნიორობით დაიწყო განხორცილება პროექტის „მომავალ მეწარმეთა კლუბის შექმნა“.
- ✓ E-vet-ის ბაზაში კოლეჯის 2022 წლის მიღების პროგრამების სასწავლო გეგმების ასახვის მიზნით განხორციელდა 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების ფორმის ცვლილება (გამოიყო სწავლის შედეგების დადასტურების კვირეები და საათები) და გეგმებში შუალედური შეფასებისათვის საჭირო პერიოდის ასახვა.
- ✓ შიდა ვერიფიკაციის გეგმის მიხედვით ჩატარებული სამუშაოების შედეგად შემოწმებულ იქნა 35 მასწავლებლის 62 სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი, გაუმჯობესდა 27 სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი.

➢ კონტიგენტის მოძრაობა

COVID-19 პანდემიის ეპიდემიოლოგიური სიტაციიდან გამომდინარე, კოლეჯმა გაითვალისწინა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

2022 წლის 10 იანვრიდან სასწავლო პროცესი განახლდა პირისპირ.

პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ცალკეული ჯგუფების სტუდენტები პერიოდულად გადაყვანილ იქნენ დისტანციურ სწავლებაზე.

2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, კოლეჯმა ,,მერმისი“ კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის 3 პროგრამაზე, რომელშიც ინტეგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

აპლიკანტთა მხრიდან გაზრდილი მომართვიანობის გამო, კოლეჯმა გაზარდა მისაღები ადგილების რაოდენობა 485 ადგილიდან 592 ადგილამდე.

592 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 2469 აპლიკანტი, მათ შორის 151 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

2022 წლის მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა 503 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 33 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი და 12 პროფესიული სტუდენტი, რომლებმაც შერჩევა გაიარეს მშობლიურ ენაზე (რუსული, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე და სწავლება უნდა დაიწყონ ქართული ენის მოდულით), ასევე მომლოდინე სტატუსი გაიაქტიურა 6 სტუდენტმა და შეჩერებული სტატუსი აღიდგინა 4 სტუდენტმა, სულ ჯამში 2022 წლის **მიღებაზე სწავლა დაიწყო 513 სტუდენტმა.**

2022 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამის ტიპი	მისაღები სტუდენტების რაოდენობა		რეგისტრირებული აპლიკანტები		მიღებული სტ. რ-ბა		მომლოდინე სტატუსის გააუქტიურება	შეჩერებული სტატუსის გააქტიურება
			სტ. რ-ბა	მ.შ. სსსმ სტ. რ-ბა	აპლიკანტების რ-ბა	სსსმ აპლიკანტების რ-ბა	სტ. რ-ბა	მ.შ. სსსმ სტ.		
1	კულინარიის ხელოვნება	მოდულური	64	8	352	27	64	8	2	
2	კონდიტერია	მოდულური	18	1	227	19	18	1		
3	ელექტროობა	მოდულური	20	3	110	3	19	1		

4	იატაკის და ფილის სამუშაოები	მოდულური	18	2	38	6	18	2		
5	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	მოდულური	40	5	150	14	40	4		
6	თმის მომსახურება	მოდულური	40	5	141	11	37	3	2	1
7	სამკერვალო წარმოება	მოდულური	45	6	151	8	45	2		
8	მომინანქრება	მოდულური	29	4	92	6	21	2		
9	ხის მხატვრული დამუშავება	მოდულური	10	2	36	7	9	1		
10	მხატვრული ქსოვა	მოდულური	16	3	44	5	11	2	1	1
11	სარესტორნო მომსახურება	ინტეგრირებული	20	6	73	1	20	0		
12	სასტუმრო მომსახურება	ინტეგრირებული	17	4	79	2	17	0		
13	ძრავას შეკეთება	მოდულური	20	5	77	2	18	1	1	
14	სავალი ნაწილის შეკეთება	მოდულური	20	4	49	3	10	0		
15	საოფისე საქმე	მოდულური	40	7	171	9	40	1		
16	თექის დამზადება	მოდულური	16	2	36	8	10	2		1
17	ბუღალტრული აღრიცხვა	მოდულური	20	3	167	3	20	3		
18	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების წარმოება	მოდულური	14	3	45	3	7	1		1
19	გრაფიკული დიზაინის შესრულება	ინტეგრირებული	20	4	81	8	20	3		
20	გრაფიკული დიზაინის შესრულება	მოდულური	20	3	199	6	20	2		
	ჯამი		507	85	2318	151	**464**	**39**	**6**	**4**
	სულ ჯამი		**592**		**2469**		**513**			

➢ ***<u>პროფესიული განათლების რეფორმების კვალდაკვალ პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატება</u>***

განათლების მიღება და უნარების გაუმჯობესება მთელი ცხოვრების მანძილზე, ადამიანს სძენს მეტ თვითდაჯერებულობას და დადებითად აისახება ცხოვრების ხარისხზე. ადამიანის ბუნებრივი უნარი აღმოაჩინოს, შეიმეცნოს და განვითარდეს, მოითხოვს ისეთი შესაძლებლობების შექმნას, რაც წაახალისებს და განვითარების მუდმივ ციკლში დააბრუნებს ინდივიდს.

ცალკეული კომპეტენციების/უნარების შესწავლის შესაძლებლობა ზრდასრული მოსახლეობისათვის, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების გზით, მიმზიდველია დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის მიიღოს კვალიფიციური კადრი და ასევე ისეთი ადამიანებისათვის, რომლებსაც აქვთ სამუშაო, თუმცა სურთ აიმაღლონ პროფესიული უნარები და უზრუნველყონ კარიერული წინსვლა.

ზემოაღნიშნულ ცვლილებას ფორმალური განათლების სისტემაში რამდენიმე მიზანი აქვს: შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, დამსაქმებლების მოზიდვა პროგრამების განხორციელებაში და ამგვარად ხარისხისა და შესაბამისობის გაზრდა, ზრდასრული მოსახლეობის გააქტიურება შრომის ბაზარზე.

2022 წელსაც კოლეჯის ,,მერმისი“ მიერ კვლავ გაგრძელდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების პროცესი, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას, დაფინანსების უზრუნველყოფას, სერვისების პოპულარიზაციასა და ახალი მოქნილი პროცედურების შექმნას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, ,,კონდიტერიის" პროფესია საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს კონდიტერის ხელოვნების მახასიათებლების მიმართაც, ასევე საქართველოში მომსახურების სფერო ბოლო ათწლეულის მანძილზე ვითარდება, რაც თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა საკონდიტრო ობიექტის გახსნას და წარმატებით ფუნქციონირებას, ,,კონდიტერიის" სპეციალისტების საჭიროება უმნიშვნელოვანესია.

,,კონდიტერიის" პროფესიაზე არსებულ მოთხოვნას ადასტურებს ამ პროფესიაზე სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მათი რიცხვი ყოველ წელს იმატებს. ასევე კომპანიებიდან შემოსული წერილობითი მოთხოვნები შესაბამისი კადრების დასაქმებაზე. მაღალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში კოლეჯს ,,მერმისი“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 13 აპრილის N MES 7 22 0000381664 ბრძანების საფუძველზე, ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,კონდიტერიის ხელოვნება".

საანგარიშო ერიოდის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად აგრძელებდა ახალი მოთხოვნადი პროგრამების შეთავაზებას სწავლის მსურველი პირებისათვის.

2022 წელსაც გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ზრდასრული მოსახლეობისათვის მომზადების პროგრამების შეთავაზების გზით.

2022 წლის სტატისტიკა პროფესიული მომზადების პროგრამების მიხედვით

N	პროგრამის დასახელება	მიღების ტიპი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული მსმენელები	კურს დამთავრებულთა რ-ბა
1.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	15	17	15	13
2.	ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა	ღია	15	22	7	7
3.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ - ტექნოლოგიური დამუშავება	დახურული	30	37	24	24
4.	ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი	დახურული	15	11	8	8
5.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	დახურული	15	20	14	13
6.	თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	ღია	12	31	11	11
	სულ ჯამი:		87	138	79	76

➢ განხორციელებული პროექტები

2022 წელსაც აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ განხორციელების მიზანს წარმოადგენს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირება, პროფესიული სწავლებით

სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 13 მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამაზე სწავლობდა **305 მსმენელი, სწავლა დაასრულა 305 მსმენელმა, სერტიფიკატი მიიღო 287 მსმენელმა.**

2022 წლის სტატისტიკა მოკლევადიანი პროგრამების მიხედვით პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ ფარგლებში

N	მოკლევადიანი პროგრამის დასახელება	2022 წლის I კვარტალი					2022 წლის II კვარტალი				
		მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	დაამთავრა	სერტ. მიღო	მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	დაამთავრა	სერტ. მიიღო
1	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა (CNC და ლაზერული მჭრელი)	10	46	10	10	10	10	39	10	10	8
2	ქალის ზედა ტანსაცმლის კონსტრუირება	10	76	10	10	10					
3	ტყავის აქსესუარების კერვა	20	81	20	20	20	10	74	10	10	10
4	ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი	10	28	10	10	7					
5	მზარეული	30	213	30	30	30	30	187	30	30	29
6	პურისა და რძის პროდუქტების ლაბორატორიის ასისტენტი						10	55	10	10	9
7	ელექტრიკოსი						10	48	10	10	10
8	პურ-ფუნთუშეულის დამზადება						10	58	10	10	9
9	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი						30	89	30	30	28

10	მსუბუქი ავტომობილის ელექტრონული კვანძების დიაგნოსტირება						10	40	10	10	8
11	ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით						10	131	10	10	10
12	ყასაბი						10	12	10	10	7
სულ		80	444	80	80	77	140	733	140	140	128

2022 წელს აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა თბილისის საჯარო სკოლებთან. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ- ქალაქ თბილისის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, თბილისის 8 საჯარო სკოლაში, ასვე კოლეჯის ლაბორატორიაში განხორციელდა 6 პროფესიული განვითარების უნარების საორიენტაციო კურსი 14 ჯგუფში და 142 სკოლის მოსწავლე დაეუფლა პროფესიას.

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, ასევე სხვადასხვა სფეროს ინტერესები, რომელსაც მომავალში დანიშნულებისამებრ გამოიყენებს.

მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ მოკლე პერიოდში შეიძლება დაეუფლოს პროფესიას, შეძლოს დასაქმება (თვითდასაქმება) და ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის საქართველოში. ასევე მათი მოტივირება პროფესიული განათლების მისაღებად.

2022 წლის სტატისტიკა თბილისის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების შესახებ

N	პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსი	სკოლა	ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა	დაასრულა	სერტიფიკატი მიიღო
1	სურსათის უვნებლობაში	N14	12	12	12
2	სამკერვალო წარმოებაში	N86	10	10	10
3	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში	N100	10	10	10

4	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში	N52	10	10	10
5	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში	N124	15	15	15
6	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში	N133	12	12	12
7	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში	N133	12	12	12
8	სურსათის უვნებლობაში	N133 (კოლეჯში)	12	12	12
9	სურსათის უვნებლობაში	N133 (კოლეჯში)	12	12	12
10	სამკერვალო წარმოებაში	N200	5	5	5
11	კულინარიის ხელოვნებაში	N200	7	7	7
12	თექის დამზადებაში	N200	5	5	5
13	ელექტროობაში	N58	10	10	10
14	სურსათის უვნებლობაში	N58	10	10	10
	სულ ჯამი		142	142	142

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯში კონტიგენტის მოძრაობა

N	დასახელება	სწავლობდა	სტატუსი შეუწყდა	სტატუსი შეიჩერა	გარე მობილობა	სწავლა დაასრულა	ამჟამად სწავლობს
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	1013	150	45	8	238	573
2	პროფ. მომზადების/გადამზადების პროგრამა (უნარების სააგენტო)	11				11	

3	პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამა (ჯანდაცვის პროექტი)	68	5			63	
4	მერიის პროექტი	305				305	
5	სკოლის მოსწავლეები	142				142	
	ჯამი	**1539**	**200**	**45**	**8**	**759**	**573**

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები

2022 წელს კოლეჯმა „მერმისი“ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსის განვითარების კუთხით საიტზე – ვაკანსიები საჯარო სამსახურში (HR.gov.ge) გამოაცხადა:

1. **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - 27 ვაკანსია - სხვადასხვა მოდულებზე;

2. **ადმინისტრაციული საშტატო ერთეული** – 15 ვაკანსია (ხარისხის მართვის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, ინკლუზიური პროფესი ული განათლების სპეციალისტი, იურისტი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების სპეციალისტი და სხვა).

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების მეშვეობით. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარების აქტივობებში ჩართვით, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

კონკურსის შედეგად ადამიანური რესურსის სახით დაწესებულებას დაემატა 33 პროფესიული მასწავლებელი და 10 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

ასევე საშტატო განრიგში დამატებული იქნა სასწავლო პროცესის მენეჯერისა და დამლაგებლის კიდევ ერთი საშტატო ერთეული, ასევე შტატგარეშე თანამდებობები: ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი, რომლის შეთანხმება კოლეჯის მიერ ყოველწლიურად ხდებოდა სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე, შეტანილ იქნა საშტატო ნუსხაში.

კოლეჯი ,,მერმისი“ ასევე ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. ამის მაგალითია, ის რომ საანგარიშო პერიოდში ორი კურსდამთავრებული დასაქმდა პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ერთი კურსდამთავრებული სპეციალური საგანმანათლებლო საწიროების მქონე პირთა ასისტენტის პოზიციაზე.

კოლეჯში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო **130 პროფესიული განათლების მასწავლებლი.**

კოლეჯის ადმინისტრაციამ და პროფესიულმა მასწავლებლებმა 2022 წელს გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

N	**ორგანიზატორი**	**თარიღი**	**თემა**	**ადგილი**	**მონაწილე**
1.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	21,22,23 / 12/2022	საგრანტო წინადადებების შემუშვების და ფონდების მოძიების ტრენინგი	სასტუმრო „შაინი“	თ. ბერძენიშვილი
2.	საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა	28.10.2022	საკვალიფიკაციო გამოცდების მიგნეების და გამოწვევები	„ჰოლიდეი ინ“	ნ. ნამგლაძე
3.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	21,22 ოქტომბერი2022	ადმინისტრაციის ტრენინგი: ზოგადი ინტეგრირებული მოდულების მართვა	მარჯანიშვილის N44 „ზ.ფ. პალასი“	ნ. ნამგალაძე
4.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	17 ოქტომბერი 2022	პერსონალური სერვისების მიმართულებით დარგობრივი ქსელის ჩამოყალიბება	მარჯანიშვილის N44 „ზ.ფ. პალასი“	ნ. ბოკუჩავა, ლ. ამნიაშვილი
5.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	12, 13 ოქტომბერი 2022	კარიერის მართვის სპეციალისტებისათვის ღონისძიება თბილისში	სასტუმრო „ჰილტონი“	ლ. ბეშკენაძე
6.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	6, 7 ოქტომბერი 2022	მეწარმეობის ტრენინგი (სამეწარმეო სწავლების მეთოდები)	ფაბრიკა (მისამართი: თბილისი, ნინოშვილის 8)	ე. მჭედლიშვილი
7.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	21-23 ივნისი	პროფესიული განათლების ეროვნული კონფერენცია	ქობულეთი	ნ. ღუდუშაური

8.	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	17 ივნისი, 2022	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა კონფერენცია	თბილისი	ნ. ნამგალაძე
9.	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	16 ივნისი, 2022	ზოგადი ინტეგრირებული მოდულის სტუდენტის შეფასების მეთოდები	ონლაინ	დ. უგულავა, ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები
10	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	27-28 მაისი, მეორე ეტაპი კი - 13-15 ივნისი	მეწარმეობის მასწავლებლების ტრენინგი	თბილისი	ვ. ჯღამაძე, ს. მუხაშვრია, ნ. ბრეკაშვილი
11	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	1 ივნისი	მწვანე უნარების ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების სისტემაში	ონლაინ	ნ. ღუდუშური
12	პროფესიული უნარების სააგენტო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად (GIZ)	16-17 მაისი, 2022	"პროფესიული განათლების მიმართულების პრაქტიკოსი მკვლევარი"	თბილისი	ნ. ღუდუშაური თ. ბერძენიშვილი
13	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო	7 აპრილი, 2022	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით	ონლაინ	ს. მუხაშავრია
14	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	28 მაისი, 2022 წელი	საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა	ონლაინ	ნ. ღუდუშაური
15	საქართველოს ტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით და გერმანიის საერთაშორისო	1 მარტი, 2022	გამოცდები სტუმართმასპინძლობის პროფესიებში	ონლაინ	ნ. ღუდუშაური

	თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)				
16	საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA)	28 თებერვალი, 2022	დუალური პროფესიული განათლება ტურიზმის სექტორში ტრეინინგი- გამოცდები სტუმართმასპინძლობის პროფესიებში	ონლაინ	ნ. ღუდუშაური ნ. ნამგალაძე
17	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	25 თებერვალი, 2022	პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებისა და გადახედვის ახალი მეთოდოლოგიის პროექტის წარდგენა და საჯარო განხილვა	ონლაინ	ნ. ღუდუშაური

სტუდენტური სერვისები

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ მუმდივად იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ზრუნავს მათი საჭიროებების გამოვლენაზე, სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე, უქმნის მათ უსაფრთხო სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

- 2022 წელს განხორციელდა კოლეჯის 13 პროფესიული სტუდენტისათვის 33 მოდულის სწავლის შედეგების ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება.
- 3 სსსმ სტუდენტისათვის შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

2022 წელს „ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში, კოლეჯმა გამარჯვების შედეგად, ა(ა)იპ „საქართველოს დეკორატიული მცენარეების და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციასთან“ პარტნიორობით დაიწყო განხორციელება პროექტის „მომავალ მეწარმეთა კლუბის შექმნა“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა ,,მომავალ მეწარმეთა კლუბი“. კლუბის მიზანია ერთმანეთთან დააკავშიროს მეწარმეობის სფეროთი დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები და მისცეს მათ საშუალება განახორციელონ სხვადასხვა საინტერესო აქტივობები და პროექტები.

ასევე კლუბის ფარგლებში პარტნიორი კომპანიის - საქართველოს დეკორატიული მცენარეებისა და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის დირექტორმა ნინო ხარხელაურმა "მომავალ მეწარმეთა კლუბის" წევრებისათვის - კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის გამართა სამდღიანი ტრენინგი "დეკორატიული ბაღის მოვლა", ასევე ჩაუტარა მასტერკლასი მცენარეთა გასხვლაში და ჩატარდა სკვერის მოწყობის ღონისძიებები.

,,მომავალ მეწარმეთა კლუბში“ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ტრენერ, სტარტაპერ და მეწარმე დარეჯან თედორაძესთან, ასევე სამუშაო შეხვედრა გამართეს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მომინანქრების“ კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც სწავლის დასრულების შემდგომ წამოიწყეს ერთობლივი ბიზნესი, შექმნეს საწარმო "შემეფტონი", შემდგომ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში მოიგეს გრანტი საქმიანობის გასაფართოებლად. შეხვედრას უძღვებოდნენ კოლეჯის კურსდამთავრებულები შპეტიშვილი ლალი და ჭინჭარაული ხათუნა.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" პროფესიული მოტივაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა შიდა კონკურსი‘‘ ,,ვებტექნოლოგიების‘‘ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ,,გრაფიკული დიზაინის შექმნა-დამუშავების‘‘ მოდულის ფარგლებში.

პირველ და მეორე ადგილზე გასულ სტუდენტებს გადაეცათ სიგელები საუკეთესო გრაფიკული დიზაინის შესრულებისთვის, ასევე ყველა მონაწილეს მოტივაციის ამაღლების მიზნით კონკურსში მონაწილეობისათვის.

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული სტუდენტები მოდულის “სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“, რომელსაც უძღვება საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტი დალილა ცატავა, სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ სასტუმრო „ჰილტონში“, სადაც ისინი შეხვდნენ სასტუმროს გენერალურ დირექტორსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, დაათვალიერეს და გაეცნენ სასტუმროს და რესტორნის მუშაობას, სტუმართა მომსახურების თავისებურებებს.

სსიპ კოლეჯს „მერმისი“ აქვს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურად დაუცველი ჯგუფების და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდების ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათ დასწრებას და აკადემიურ მოსწრებას. კოლეჯის მასწავლებლები სასწავლო პროცესის მსვლელობისას აკვირდებიან სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფების და ახდენენ მათ დახასიათებას. სასწავლო პროცესის მენეჯერები მეცადინეობების გაცდენის შემთხვევაში ადგენენ გაცდენის მიზეზებს. ყოველი თვის ბოლოს მასწავლებლები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს აწვდიან ინფორმაციას სტუდენტების მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდებზე დამატებით ზრუნავს კოლეჯის ინკლუზიური განათლების გუნდი (კოორდინატორი, სპეციალისტი, ასისტენტი). არის შემთხვევები, როდესაც სოციალურად დაუცველი ჯგუფის წარმომადგენლები იმავდროულად სსსმ/შშმ პირები არიან, კოლეჯი ინკლუზიური განათლების გუნდის მომსახურების გარდა საჭიროებისამებრ მათ სთავაზობს დამატებით ჟესტური ენის თარჯიმანს, მძღოლის, სივრცეში მობილობის სპეციალისტის და სხვა მომსახურებებს.

ბოლო წლების განმავლობაში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის შერჩევის მიზნით:

1.მცირე საოჯახო ტიპის საცხოვრებელი

2. word vision -ის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრი.

3. მიუსაფარ ბავშვთა 24 საათიანი თავშესაფარი.

4. Sos ბავშთა

2022 წელს გაფორმდა მემორანდუმი ააიპ სამოქალაქო საზოგადოების განვითრების ცენტრთან (CSDC), რომელიც ითვალისწინებს პროექტის " ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისათვი; ჩართულ მიუსაფარ ბავშვთა პროფესიული თვითგამორკვევასა და პროფესიულ განათლებაში მათ ინფორმირებულ ჩართვას.

კოლეჯში ,,მერმისი“ ასევე ყველა პირობაა შექმნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის საჭიროებებზე.

21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით კოლეჯი ,,მერმისი" შეურთდა ჭრელი წინდების აქციას. 2022 წლის სლოგანია ინკლუზიურ გარემოში ყველა ადამიანი თანასწორი და მრავალფეროვანია.

საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით სსიპ კოლეჯში „მერმისი“ გაიმართა შშმ პირებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ცნობადობის გაზრდის მიზნით კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს პრეზენტაციის სახით მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით. კოლეჯის გარე სივრცეში წარმოდგენილი იყო შშმ და სსსმ სტუდენტების მიერ სასწავლო

პროცესში შექმნილი ნამუშევრები. ღონისძიების დასასრულს, სიმბოლურად ცაში გაშვებულ იქნა საჰაერო ბუშტებზე მიმაგრებული ფურცლები სტუდენტთა სურვილებით.

2022 წლის 21 ივნისს კოლეჯს ,,მერმისი" და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთათანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ურთიერთთანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში, ასევე ერთობლივი ძალისხმევითა და მხარდაჭერით ხელი შეუწყონ სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

2022 წლის 8 ივლისს კოლეჯსა და ააიპ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრსა (CSDC) გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს პროექტის ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისათვის" ჩართულ მიუსაფარ ბავშვთა პროფესიული თვითგამორკვევასა და პროფესიულ განათლებაში მათ ინფორმირებულებას.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სასტუმრო მომსახურებისა" და "სარესტორნო მომსახურების" სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია თემაზე: "ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში უსაფრთხოებისა და პრობლემური სიტუაციების მართვა, მარკეტინგი და გაყიდვები ტურიზმში". კონფერენცია ორგანიზებული იყო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმრო მომსახურების" ხელმძღვანელის, ტურიზმინის მეცნიერებათა დოქტორის მანანა ალადაშვილის მიერ.

2022 წლის მიღებასთან დაკავშირებით, კოლეჯში 2022 წლის 29 ივლისს მოეწყო ღია კარის დღე. სწავლის მსურველმა პირებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ როგორც კოლეჯის დირექციის, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგებისგან და სტუდენტებისგან.

სსიპ კოლეჯში ,,მერმისი" 8 ნოემბერს 2022 წლის მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესი დაიწყო. პროფესიულ სტუდენტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა - ნონა ღუდუშაურმა, კომპანია "ტოიოტა ცენტრი თეგეტას" ტექნიკურმა დირექტორმა - არჩილ მჭედლიშვილმა.

2022 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძე კოლეჯ „მერმისს“ ესტუმრა, სტუდენტებსა და მასწავლებლებს სწავლის დაწყება მიულოცა და წარმატებული სასწავლო წელი უსურვა. პირველკურსელებთან შეხვედრისას მინისტრის მოადგილემ პროფესიულ განათლებაში არსებულ პერსპექტივებსა და ფართო შესაძლებლობებზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, კოლეჯები მთელი ქვეყნის მასშტაბით სტუდენტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასწავლო გარემოში ხარისხიანი განათლების მიღებას სთავაზობენ, რაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, გახდნენ კონკურენტუნარიანები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს შრომის ბაზარზე.

2022 წლის 5 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სსიპ კოლეჯი „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ინტეგრირებული) სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე შშმ პირები და საზოგადოება. აღნიშნული ღონისძიების მიზანი იყო კოლეჯის სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლება და იმ პრობლემებსა და დისკრიმინაციაზე საუბარი, რასაც შშმ პირები განიცდიან ყოველდღიურად.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გაეროს კამპანიის ფარგლებში, 2022 წლის 6 დეკემბერს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის სსიპ კოლეჯში "მერმისში" გაიმართა ლექცია თემაზე: "ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენცია ინკლუზიური დემოკრატიის ფარგლებში". ლექციას უძღვებოდნენ: კოლეჯში მოდულის კომუნიკაცია ქართულ ენაზე განმახორციელებელი პედაგოგი, ფილოლოგიის დოქტორი, ორგანიზაციული მართვის ტრენერი, ექსპერტი ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებში, ხათუნა მაჭავარიანი და ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისათვის" ხელმძღვანელი მაია ბენია.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექცია მუდმივად ზრუნავს კოლეჯის სასწავლო სახელოსნოების განახლებაზე. 2022 წლის განმავლობაში კოლეჯი საჭიროების მიხედვით ახდენდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას.

კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/განახლების ფარგლებში, გაკეთებულია მსუბუქი ავტომობილის შეკეთების სახელოსნოს და საწყობის მიშენება.

აღნიშნულ წელს კოლეჯის სასწავლო კორპუსის მე-4 სართულის სასწავლო აუდიტორიებში მთლიანად შეიცვალა ფარდა ჟალუზები.

სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის შეძენილი იქნა ახალი როუტერები, ხმის გამაძლიერებლები და პრინტერები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის მომსახურება“ დამატებით შეძენილი იქნა შესაბამისი აღჭურვილობა (მანეკენის თავები და სადგამები მანეკენის თავებისთვის), ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ძრავის შეკეთების“ და „სავალი ნაწილის შეკეთების“ სასწავლო სახელოსნოსთვის შეძენილი იქნა ავტომანქანის მაღალი წნევით სარეცხი აპარატი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითვის - „სამკერვალო საქმე“ შეძენილი იქნა პროფესიონალური უთო.

კოლეჯის მიერ, 2022 წელს დამატებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრული სისტემების შეკეთება“. აღნიშნული პროგრამის დამატებისა და განხორციელების მიზნით, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის

მეშვეობით შეძენილი იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანადგარები და მოწყობილობები. მათ შორის: მაკრატელა ამწე, თვლების კორექციის შესამოწმებელი აპარატი, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების სტარტერის და დინამოს შესამოწმებელი სტენდი. ამასთან ერთად აღნიშნული პროგრამისათვის შეძენილი იქნა ოსცილოგრაფები, მულტიმეტრები, სარჩილავი მოწყობილობები, მიკროსკოპები სარჩილავი სამუშაოებისთვის, ხელის ინსტრუმენტები, კალის მოსაშორებლები.



,,სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის, „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ კოლეჯს ,,მერმისი“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯში განხორციელდა ექსტრაკურიკულური აქტივობები, რომლის ფარგლებში კოლეჯის ტერიტორიაზე სკვერის მოსაწყობად შეძენილი იქნა ეზოს მრგვალი მაგიდები სკამებით, შეძენილი და დარგული იქნა სხვადასხვა მცენარეები, მოწყობილი იქნა სარწყავი სისტემა. სკვერისა და მცენარეების მოსავლელად შეძენილი იქნა საჭირო სამუშაო იარაღები.

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა კოლეჯის მიერ სკვერის ტერიტორიაზე სტუდენტების ჩართულობით მოეწყო სკვერის განათება, რისთვისაც შეძენილი იქნა სანათი მოწყობილობები და შესაბამისი მასალები. სკვერში ფეხით მოსიარულეთა სავალი ბილიკების მოსაწყობად შეძენილი იქნა ბორდურები, პემზა და სხვა საჭირო მასალები.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რაც გულისხმობს შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართულობას კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას.

2022 წლის მანძილზე კოლეჯისთვის განსაკუთრებით აქტუალური იყო პარტნიორობა კერძო სექტორთან. მსოფლიოში არსებული დასაქმების პრობლემის კვალდაკვალ, კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა კოლეჯის კურსდამთავრებულებს აძლევს რეალურ შანსს

შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დასაქმდნენ საკუთარი პროფესიით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა რგოლთან, მუნიციპალურ და საქალაქო სამსახურებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად შესაძლებელი გახდა მეტი პოტენციური სტუდენტის ინფორმირება და მათი დაინტერესება კოლეჯის პროგრამებით.

კოლეჯის მიერ 2022 წელს გაწეული სამუშაო სტუდენტთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით საკმაოდ აქტიური და მრავალფეროვანი იყო. ტრადიციულად მიმდინარეობდა აქტიური საინფორმაციო კამპანია სტუდენტების მოზიდვის მიზნით და ასევე, კომუნიკაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშესაწყობად. გაფორმდა თანამშრომლობის არაერთი მემორანდუმი და მოხდა კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა. კოლეჯმა წარმატებით შეძლო მაქსიმალურად გაევრცელებინა ინფორმაცია კოლეჯის სხვადასხვა პროგრამების შესახებ, დაემატებინა ინტეგრირებული პროგრამები და მოეზიდა ახალი პარტნიორები.

გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს "ზორბა" (ზერო "ღვინის ბარი"), შპს „მერკადო", შპს ი/მ ''ნინო მისაბიშვილი'', შპს „GRC", შპს სასტუმრო ,,მირა ვერე", ავეჯის კომპანია ,,ლივა"; ბაზარი ორბელიანზე, ღვინის ბარი ზერო", შპს თეგეტა მოტორსი";, ფუნიკულიორი, შპს „მარშე, შპს „ვოლვო", შპს „მარიოტი", შპს "GRS", შპს „ფუდ ალიანსი', შპს „ბაზარი ორბელიანზე", შპს „როიალ", შპს „პრემიერა ტმ", შპს „დეიზი", შპს „რედისონი", შპს „ნისა სტუდიო", შპს „ანაბეჭდი", შპს „თეგეტა მოტორსი", შპს „მარშე", შპს თბილისი მარიოტი", შპს „ორი ნაბიჯი", შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი", შპს „მირიან ტუზურიძე", შპს „ჯი ემ თი" მთაწმინდა, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია" შპს „თეთრი ქალაქი", შპს „ფავორიტი სტილი" , შპს „ბაუმა", სილამაზის სალონი „BEUTI ART" და სხვა.

საანგარიშო პერიოდში დასაქმების თაობაზე ვაკანსიები შემოვიდა 305 კომპანიიდან.

კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმდნენ:

- სასტუმრო „აჭარა ჯგუფი" – 6 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე,
- სასტუმრო „შერატონი" – 5 კურსდამთავრებული მზარეულისა და კონდიტერის პოზიციაზე;
- სამკერვალო ფაბრიკა „ავთანდილ ცქვიტინიძე" – 6 კურსდამთავრებული;
- შპს „ელთიბი" – 3 კურსდამთავრებული;
- შპს „თეგეთა მოტორსი" - ძრავის შეკეთებისა და სავალი ნაწილის შეკეთების 5 კურსდამთავრებული;
- შპს ,,აგროჰაბი" – 7 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- შპს ,,კოფტ" – 3 კურსდამთავრებული მკერავის პოზოციაზე;
- გაგუას კლინიკა - 1 კურსდამთავრებული საოფისე საქმის პოზოციაზე;
- შპს „AG MOTORS – 2 კურსდამთავრებული სავალი ნაწილის ტექნიკოსის პოზოციაზე;
- შპს „თეგეტა მოტორსი" – 3 კურსდამთავრებული
- შპს „გუდვილი" – 4 კურსდამთავრებული მზარეულის პოზოციაზე;
- შპს „მექსიკური სამზარეულო" - 3 კურსდამთავრებული მზარეულის პოზოციაზე;
- შპს „კარფური" - 2 კურსდამთავრებული მზარეულის პოზოციაზე;

- შპს „მარშე“ - 2 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- სს ,,ენერგო-პრო-ჯორჯია" - 2 კურსდამთავრებული ელექტრიკოსის პოზიციაზე;
- შპს ,,AGROHUB - 2 კურსდამთავრებული ელექტრიკოსის პოზიციაზე;

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრები კომპანიებთან, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობები და მომდინარე ვაკანსიები.

2022 წლის 16 დეკემბერს კომპანია "თეგეტა მოტორსის" სამშენებლო და სპეც. ტექნიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზვიად ახლოურმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა კოლეჯის სტუდენტებთან. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების რეგიონული კოორდინაციის განყოფილების წარმომადგენლმა ლანა ჯიოევა შეხვდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობის“ პროფესიულ სტუდენტებს შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების განხილვის მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

- ჩატარდა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ მეცადინეობებზე დასწრება
- ჩატარდა სტუდენტთა შეფასების შიდა ვერიფიკაციის სამუშაოები;
- ჩატარდა საკონსულტაციო სამუშაოები კოლეჯის ახალ მასწავლებლებთან;
- განხორციელდა მასწავლებლების მიერ ჩატარებული მეცადინეობების თემატიკის შესაბამისობის მონიტორინგი მოდულების კალენდარული გეგმების თემატიკასთან;
- პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

კოლეჯი "მერმისი" თბილისის მერიასთან თანამშრომლობს 2017 წლიდან და პროექტის ფარგლებში თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში გადამზადებული ჰყავს 850-მდე ბენეფიციარი.

2022 წლის 2 თებერვალს სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორი ნონა ღუდუშაური შეხვდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილეს ანდრია ბასილაიას. კოლეჯის დირექტორმა მერის მოადილეს, ქ. თბილისის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ზაზა ცინაძესა და სამსახურის წარმომადგენელებს გააცნო კოლეჯში მომდინარე სასწავლო პროცესი.

2022 წლის მიღებასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით პროფესიული განათლების მიღების მსურველებთან განხორციელდა საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები.

აღნიშნული შეხვედრების მიზანია მოსწავლეების დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს მათი პროფესიული გადაწყვეტილების, თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარის განვითარებაში.

მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ კოლეჯში განხორციელებულ იმ პროფესიებს, რომლებიც შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადია და მათთვის საინტერესო პროფესიის ძირითად მახასიათებელებს.

2022 წლის 22 მარტს კოლეჯში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ქ. თბილისის N132 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

2022 წლის 6 აპრილს კოლეჯში იმყოფებოდნენ ასოციაცია "ანიკას" მოზარდები

2022 წლის 6 აპრილს პროფესიული განათლებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

2022 წლის 17 აპრილს სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის „პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში“ ფარგლებში გამართულ დასკვნით ღონისძიებაზე უმასპინძლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველს მანანა ქვაჩახიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს ნინო ლობჟანიძესა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსიპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები - მანანა გაბუნია და სალომე ცხადაძე. ასევე აფხაზეთის N2 და N3 საჯარო სკოლის დირექტორები ნანა ჯალაღონია და სვეტლანა რურუა.

ღონისძიების ფარგლებში „მერმისის“ დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა მოწვეულ სტუმრებს და აფხაზეთის N2 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლებს დაათვალიერებინა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გააცნო სასწავლო პროცესი.

ღონისძიების მიზანი იყო სკოლის მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, მათთვის სასწავლო პროგრამებისა და არსებული პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

შეხვედრის დასასრულს სკოლის მოსწავლეებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ

2022 წლის 11 მაისს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სტუმრად იმყოფებოდნენ პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელი მანო გაბუნია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ლელა გაფრინდაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო საზოგადოების განვითრების ცენტრი“ დირექტორი ნინო თოდუა. კოლეჯის დირექტორთან, ნონა ღუდუშაურთან შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

პროფესიული განათლების მიღების მსურველ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ.

სსიპ კოლეჯში ,,მერმისი“ 2022 წლის 19 მაისს პროფესიული განათლებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ქ. თბილისის N133 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

2022 წლის 17 ივნისს ორგანიზაცია word vision _ ურბანული განვითარების პროგრამის ფარგლებში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

სსიპ კოლეჯმა ,,მერმისი" მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავრობის ორგანიზებით, 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა ქალაქ ახალციხეში, რომ ლ ი ს სლოგანს წარმოადგენდა გზა ევროპისკენ.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კოლეჯის სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები.



2022 წლის 7 ივლისს სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტუმრად იმყოფებოდნენ ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ანდღულაძე და გამგეობის წარმომადგენლები. კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს დაათვალიერებინა კოლეჯი, გააცნო სასწავლო პროცესი და მიაწოდა ინფორმაცია პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ კოლეჯის "მერმისი" მაგალითზე. ვიზიტის ფარგლებში ისაუბრეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე

2022 წლის წლის 9 დეკემბერს სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტუმრად იმყოფობედნენ ესტონეთის ქ. რაპინას მებაღეობის სკოლის დირექტორი კალე ტომი და სკოლის წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანი იყო შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის გზების დასახვა. კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს დაათვალიერებინა კოლეჯის სასწავლო სახელოსნოები და გააცნო სასწავლო პროცესი.